№ 1 იანვარი 1, კვირა — 1889 — იანვარი 1, კვირა № 1

# ივერია


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადების დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებზე სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1889


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 იანვარს.

## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნაკაძეს.

ტფილისიდ გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ხუთშაბათს, იანვრის 6-ს 1889 წ.
ტფილისის კრუჟოკის დარბაზში
დანიშნულია

**ბალი**

ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.
ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.
ფასი ბილეთისა 2 მანეთი.
ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილ კაბებითაც მობრძანდნენ.
ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.
(3—2)

ქართული თეატრი
კვირას, 1 იანვარს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ხანუმა**

კომ. 4 მოქ. ა. ცაგარლისა.
ხანუმას როლს ითამაშებს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

II

დაჩაგრული უმანკოება

ვოდ. 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.


ტფილისი, 31 დეკემბერი

დადგა ახალი წელიწადი და ნება გვიბოძეთ, ასე გისურვოთ:

ღმერთმა ხანგრძლივი დრო მოგცეთ სიცოცხლისათვის, ხოლო იცოდეთ კი, რომ „დრო ხანგრძლივია მისთვის, ვინც კარგად ჰხმარობს. ვინც ირჯება, აზროვნობს და ჰფიქრობს, იგი დროთა საზღვარს მორს გასდგამს ხოლმე“.

ღმერთმა გაგაძლიეროთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „ადამიანი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა მცოდნეა და განათლებული“.

ღმერთმა დიდი კაცობა მოგცეთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „ვინც კარგად ემსახურება თავის სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდ-კაცობოდაც დიდია“.

ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ თუ გნებავთ ბედნიერი იყვეთ, „[illegible] ლით უმანკოებას ჰშველოდეთ და მეორით სრავდეთ ავ-კაცობასა“.

ღმერთმა წყენა გაშოროთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ

„სხვისა წყენისა ლხენებით
თქვენიცა განჰქარდებიან“.

ღმერთმა ყოველი საქმე კარგად წაგიმართოთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ საქმეს კარგად წარმართავს მარტო ჭკვიანი გული და გულიანი ჭკუა.

ღმერთმა ყოველი მწუხარება აგაცილოთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „უკეთესი წამალი მწუხარებისა იგია, როცა სხვას მწუხარებისაგან დაიხსნით“.

ღმერთმა უბედურებისაგან გიხსნათ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „ვისაც თავის დღეში არავინ გაუუბედურებია, იმას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ თვითონაც თავის დღეში უბედური არ იქნება.“

ღმერთმა იმოდენა უნარი მოგცეთ, რომ თქვენს ძალ-ღონეს დაენდოთ, სხვის იმედზედ არ იყვნეთ, იმიტომ-რომ „იგი ჭკვიანი არ არის, ვინც არ იცის თავს როგორ უშველოს“.

ღმერთმა ჯან-მრთელი გამყოფოთ, ხოლო იცოდეთ, რომ «თუ გნებავთ სიმრთელე შეჰრჩეს თქვენს სულსა და ხორცსა, გულის-ნებას და მადას გაძღომამდე ნუ მიიყვანთ».

ღმერთმა მოგცეთ სიყვარული მართლისა და იცოდეთ, რომ «თუ ბოროტი ხართ, შეგიძულებენ, თუ [illegible] ხართ, ზოგიერ მოგატყუებენ და თუ მართლის მოყვარე ხართ—თავყანსა გცემენ».

ღმერთმა სიბრძნე და სათნოება მოგანიჭოთ და იცოდეთ, რომ „სიტურფე, ნიჭიერება, ჭკუა და სხვა ყოველივე სცვდება, გარდა სიბრძნისა და სათნოებისა“.

ღმერთმა უმაღლესს ღირსებამდე მიგახწევინოთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „უველაზედ უტყუარი ნიშანი უმაღლესის ღირსებისა შურის არ-ქონაა“.

ღმერთმა ნუ მოგაკლოთ პატიოსნება და იცოდეთ, რომ „ვაჟკაცს გმირს მარტო ომი უნარი აქვს, დიდ-ბუნებიანს ყკვეაფრისა, ხოლო ერთიცა და მეორეც ვერ აიწონენ ერთად, რასაცერთი პატიოსანი კაცი იწონს“.

ღმერთმა არც მფლანგავი გქმნას, არც ძუნწი და იცოდე რომ „ვინცა ჰფლანგავს, იგი თვის მემკვიდრესა ჰპარავს, ვინც ჰძუნწობს, იგი ჰპარავს თავის თავსა“.

ღმერთმა გიხსნათ სიღარიბისაგან, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „კაცი მაშინ არის ღარიბი, როცა სურვილი ჰჭარბობს ღონესა და როცა წადილი მეტი აქვს ქონებაზედ“.

ღმერთმა ღონე მოგცეთ და გაგაძლიეროთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „ღონე იმისთვის მოუნიჭებია ჩვენთვის ღმერთს, რომ ჩვენი ქონება შევინახოთ, და არა იმისათვის, რომ სხვისა დავიჩემოთ და დავისაკუთროთ“.

[illegible] მოგვცეთ, ხოლო იცოდეთ-კი, რომ „[illegible] ბატონად ძალიან ცუდი ბატონია და მოსამსახურედ-კი მეტად კარგი მოსამსახურეა“. არც-კი ეს დაივიწყოთ, რომ „ყოველთვის, როცა კაცს ბუზმენტებით მორთულსა ჰხედავთ, იცოდეთ, რომ მის მახლობლად სხვა კაცი ძონძშია გახვეული“.

ღმერთმა მაგარი ხასიათი მოგცეთ და იცოდეთ, რომ ჭკვიანი კაცი-კი მალე წახდება, თუ ჭკუასთან ერთად სიმაგრე ხასიათისა არა

## ფელეტონი

### პატარა გაზეთი

გამოვა ყოველ კვირას, წლიური ფასი ერთი მანეთია. ხელი მოაწერეთ, ჯერ ასეთი იაფი გაზეთი არა ყოფილა ქართულს ენაზე. ყველა უკეთესი ქართველი მწერლები მონაწილეობას მიიღებენ „პატარა გაზეთში“.

ტფილისი, 1 იანვარს.

ამ წლიდამ განვიზრახე, ჩემი საკუთარი გაზეთი ვიქონიო, განვიზრახე იმიტომ, რომ არც ერთი გაზეთი ჩემი საკბილო არ გამოდგა. „ივერიაში“ მინდოდა წერა, მაგრამ გუნიას კალენდარში წავიკითხე, რომ „ივერია“ აკადემიური გაზეთიაო, და ამ სიტყვამ ისე დამაფრთხო, რომ ახლო ველარ მივეკარე. ვიფიქრე სწორედ მიუკარებელი და ხელ-მიუწვდენელი რამ უნდა იყოს-მეთქი ეს გაზეთი. „თეატრში“ თანამშრომლობა მე თვითონ არ ვისურვე. არ ვისურვე იმიტომ, რომ, გინდა თუ არა, თეატრზე სწერეო. აზირებულია, ღმერთმანი! რა სწერო? ისა, რომ არტისტებს ჩხუბი მოსდიოდო, როლების დასწავლა ეზარებათ და ყოველთვის ქამანდი უნდა ესროლო, რომ თეატრში ვინმე შემოიტყუო!?.

არა, უთუოდ საკუთარი გაზეთი უნდა მქონებოდა, რომ ჩემი აზრები და მიმართულება გამომეაშკარავებინა და ქვეყნისთვის მეუწყებინა. რა მიმართულება ექმნება „პატარა გაზეთსა“ო?-იკითხავთ. ჩვეულებად არის მიღებული, რომ გაზეთმა პირველ ნომერშივე გამოსთქვას, რა ექმნება საგნად, რა მოძღვრებას ემსახურება, რას მიესარჩლება და რას განდევნის. ყველა ეს, რასაკვირველია, მაღალის კილოთი და შესაფერის სიტყვებით უნდა იყოს გამოთქმული. ჩვენი გაზეთი, რაღა თქმა უნდა, დიდს ბოლჩებს ვერ გადუშლის მკითხველს და ოქროს ზვინებს ვერ დაჰპირდება. «პატარა გაზეთი» პატარად მოჰპნავს, პატარად მოსთოხნის. მხოლოდ ამას-კი წინადვე მოგახსენებთ, რომ პოლიტიკაზე სრულებით არაფერი იქნება ჩვენს გაზეთში. არ იქნება ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ივერიის“ პოლიტიკოსებთან ჩვენ ქონდრის კაცადაც არ გამოვჩნდებით. მარტო ერთი ბ-ნი ნა—ლი ჩვენცა და ჩვენს გაზეთსაც ხელცახოცში გამოჰკრავს და ჯიბეში ჩაიტევს. მეორე კიდევ ისა, რომ ამ ბოლოს დროს, მგონი, თვით ბისმარკსაც დავთრები აერია, და აბა ჩვენ რაღა უნდა გავიგოთ, რომ თქვენ რა გითხრათ.

ამ დაგვრჩა მხოლოდ «შინაური საქმეები». მერე ეს „შინაური საქმეები“ საიდა უნდა მოვძებნოთ. განა დიდი ხანია, რაც „ივერიამ“ საქვეყნოდ გვაუწყა, რომ „შინაური საქმეები“ საიდამ გვექმნება, როცა «შინაც» სრულიად არა გვაქვსო.

სცდება „ივერია“ და ამას კიდეც დავუმტკიცებთ... მაგრამ ამაზედ ლაპარაკი შემდეგისთვის გადავდოთ.

### ახალი ამბავი

⁂ ამ დღეებში ერთს სოფლელს მთელი ფარა ბატი მოუდიოდა გოლოვინის პროსპექტზე. ბატები უცბად რაღაცა გუნებაზე მოვიდნენ, ფრთა ფრთას შემოჰკრეს და ჟივილ-ხივილით გაფრინდნენ. ფაიტონის ცხენები დაფრთხნენ და ხალხი გაიტანეს ქუჩაში. სოფლელი შეშინდა და გაიქცა. ბატები-კი, რომელთაც ასეთი კანონით აღკრძალული უწესოება და ურიგობა მოახდინეს, პოლიციელებმა დაიჭირეს და თავი ამოუყვეს... ქვაბში.

⁂ იარმუკაზე ერთი კარგი ამბავი ვნახეთ. ორ კინტოს კვერცხი ჰქონდათ გასასყიდად მოტანილი. კინტოები ერთმანეთს ელაყბებოდნენ და ხუმრობდნენ. ამ დროს გაიარა ერთმა ახალგაზდა მოსწავლემ და კინტოებს ყურება დაუწყო. კინტოებმა ერთმანეთს თვალი უყვეს და რაღაც ანიშნეს. მერე ერთი კინტო მივიდა ყმაწვილთან და უთხრა:

— ყმაწვილო, მე და ჩემი ამხანაგი დავნაძლევდით, რომ ის თვალებს დაიხუჭავს, მე კვერცხს დავმალავ, და მერე უნდა იპოვნოს. მოდი ერთი ქუდ ქვეშ დაიმალე, აბა ის ოხერი რას იპოვნის?

ყმაწვილი დასთანხმდა, კვერცხი ქუდში ჩაიდო და ქუდი თავზე დაიხურა.

გაბუტებულმა კინტომ დაიწყო კვერცხის ძებნა, აქეთ ეცა, იქით ეცა,— ბოლოს მივიდა ყმაწვილთან, სთქვა: —აი კვერცხი სადა ყოფილაო!—და თავში მაგრა ჩაარტყა.

კვერცხი, ცხადია, გატყდა და საწყალს გაბრიყვებულს ყმაწვილს პირის სახეზე-კი ჩამოეცლისა. კვერცხი ლაყი ყოფილიყო.

დროა ბოლო მოეღოს კინტოების ასეთს თავ-გასულობას!..

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ ერთ ახალგაზდა პოეტს დაუწერია ლექსად ათას ერთ ტაეპიანი პოემა, რომელსაც სახელად ერქმევა „ჩხიკვ ყვავ-ბუიანი“.

⁂ ნამდვილ წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ ჩვენს გამოჩენილს ისტორიკოსებს ვრცელი გამოკვლევა დაუწერიათ, სადაც ამტკიცებენ, რომ ადამიც ქართულს ენაზე ლაპარაკობდაო. სხვათა შორის ისტორიკოსები ჰფიქრობენ, რომ უნდა ყოფილიყოს ქართულ ენაზე პოემა „ადამიანი“, როგორც არის, მაგალითად, თამარიანი, დავითიანი და სხვანი.

⁂ ჩვენ ახალგაზდა მეცნიერს ეტნოლოგს მეხუთე მედალი მიუღია ახალის თხზულებისათვის, რომელიც ფშაველების ცხოვრებას შეეხება. ახალგაზდა მეცნიერს მეტად საყურადღებო საგანი აუღია გამოსაკვლევად, სახელდობრ, ფშაველები თითო ჯერზე რამდენსა სჭამენ და ჰსვამენო.

სიხარულით ვაცნობებთ ამ ამბავს, მხოლოდ ერთს რჩევას-კი მივსცემთ პატივცემულს მეცნიერს: კარგი იქნებოდა, რომ სხვებისთვინაც ეკითხნა. მაგალითებრ ბ-ნი ურბნელი ძვირფასს ცნობებს მისცემდა, რადგან ეს საგანი საზოგადოდ ბ-ნს ურბნელს საუცხოვოდა აქვს შესწავლული.

⁂ ამბობენ, ვითომ სადღესასწაულოდ ღარიბებისთვის დასარიგებლად შეწირული ფული მართლა ღარიბებს დაურიგდათო.

⁂ ორი კინტო შუა ქუჩაში დამდგარიყო და ერთი ამბავი ჰქონდათ, ყვიროდნენ, ლანძღებოდნენ და ერთმანეთზე მუშტებით იწევდნენ. დიდძალი ხალხი შეგროვდა და სეირს უყურებდა. ბოლოს ერთმა მეორეს უთხრა:—აი შენი დედის სულის... ჰქირიმეო,—და ისევ გზას გაუდგნენ... თურმე ხუმრობდნენ!

აი დიდება შენთვის ღმერთო!

⁂ ბ-ნ „დონ-იაგოს“ მევობარი, რომელიც შარშან მთვარეზე აფრინდა და მასუკან აღარსადა სჩანს, ამ დღეებში უნდა დაბრუნდეს უკან.

(გუნიას კალენდარ

აქ: ვისაც დიოგენის ფარანი აქვ იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს“.

ღმერთმა მშვიდობა და მოსვე ნებასლოგცეთ, ხოლო იცოდეთ, რომ „ყველაზედ ტკბილი მოსვენება ის, რომელიც შრომით არის ნასყიდი“.

ღმერთმა ერთმანეთის ძმობა, ერთობა გვმადლოთ, და იცოდეთ, რომ „ძლიერ ძალოვანი კაციც-კი უძლონოა თუ მოძმენი მხარს არ მისცემენ. არც ეს დაივიწყოთ, რომ «როცა შკვიანები და პატრიოსნები ერთად მოქმედობენ, მაშინ სულელნიდა ფლიდნი უძლონონი არიან».

ღმერთმა გიმრავლოთ და გიდღეგრძელოთ შვილები, ხოლო იცოდეთ-კი, რომ

სჯობს ყოლ უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

დასასრულს ვისურვებთ, ღმერთმა თქვენის ქვეყნის სიყვარული გაგიძლიეროთ და იცოდეთ, რომ „რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატრიოსანს გულში მაინც ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს“.

ამინ და კირილეისონ!..

«ივერიის» მეჯლი

სამღვდელოებას

მშვიდობა ჰქონდეს ქვეყანას,
მწყემსებს ასმენდეთ;
მაშვრალს შესძინეთ, ურჩებს,
სნეულს ჰკურნებდეთ;
საქრისტიანოში მწყემსართა
სიტყვა სცემდეთ;
მატყუარს, ტყუილს, უცხოსა
შეიწყნარებდეთ;
ცოდვილს ცოდვის ტვირთის სიმძიმე
შეამსუბუქეთ;
შენს სამწყსოს საკურთხეველს...

მოამსახურეთ;
შენის საქმით, მაგალითით
გამხნევდებოდეთ;
სიყვარულსა და მოყვასობას
უქადაგებდეთ;
სულის სახით მეწყინე,
გრძნობა, მიწყალობდით.

თავად-აზნაურობას

გზასა რომელსა ხედავდეთ,
წინ დაიხედეთ;
ფუფუნებისა და სიფრთხილე
არსად წავიდეთ;
თავს ასეთზედ ნუ იხარებ,
ზოგჯერ ინანებ;
სხვის ნურას ნუ ინატრებ,
რომ დაშვრდები;
გადის ავაზა, რო გაყვარს,
გადაანდიდე.

მასვე

გითა ცხენსა შარა გრძელი
და გამოსჭდის დიდი რბევა,
მოზურთადის მოგდება,
მარიდე ცემა, მარცვლზე ჭრება,
აგრეთ თავად თუ აზნაური,
რაც-კი რამ აქვს, იმის მხევა.

გლეხ-კაცობას

ნეტარ არს, ვინცა ნაშრომი
ნაყოფთა თვისთა შჭამოს!

ვაჭრებს

... სიმართლით
ცრუს ფიცს გამდიდრებას.

მოსამართლეებს

ქმნა მართლისა სამართლისა
ხესა შეამხ სხლისა ნედლად.

მოსწავლეებს

ღვინის თან დასვდეს მეფლისს,
რაზედაც დადგრებით;
არც ცხენს მალით წავრთმის,
არც მაღლით მოეშვებით.

ოსტატებს

ვით ახალ ნორჩ ვაზსას
ხელს მიჰყვეს საფურჩქნელად,
გვრეც ახალი მოზარდი
ერთ ოსტატს გასაწვრთნელად.

«კავკაზს»

შენშვ, გიდ მეწს ფესად,
თუ მოგიფუებას გაზარი!

„ნოვოე ობოზრენიეს“ მუშაკთ

ტარიელმა, ფრიდონმა, ავთანდილმა
შეკრიან ძმური პირობა:
მოდა, დავვსხნეთ ქაჯეთის,
გიმარჯვით დიდი გმირობა;
ნესტანი გამოვიყვანოთ,
გასცე აქვს შენეთან ცილობა.
ხმლითა სტეს ქაჯეთის კარებს,
რიდე იმარჯს ფლიდობას!
ცხრავე კარები დალეწეს,
შემუსრეს ქაჯთა ფილობას,
მაგრამ ნესტანის მაგიერად
გაღუსეს უთხრეს: „მშვიდობა!“

ნ. ნიკოლაძეს

უოცდი პარი ქვეყნის
ერთობ სრულად მოგიქცა;
ფლიდი, რომელ, ლუმოსდის
ყველა შენი შეობადის!

ხონელს

მო, დასხრდეთ, სწვად „მანი“ ...
... მოვიბადე!

დავით სოსლანს

ღუშიით მოკალ, დევ-გმირო,
გადუტეხელმა ხმალითა,
მტერთაგ ჩმოაცვითა,
ორსვე მოსთვალამ ფარითა,
მოყმე და მოგიბერანემადე
ლრეზდიოთა და ნართათა.
რა ვკრძა გამდე ვერსალა,
წემას ცოდვილია თვიოთა,
დაგით კესისა დღენზე,
ამ მოსაზღვრის ვარითა.

ადგილს სოსლანი!.. ვინ სოსლანი
და ვინ ვაზელი დღეთა!..

„თეატრს“

ქალი კარ საქართველოსა,
განგეს თოთრის ეგერთა;
მიშველეთ, ქართველის შეილებო,
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!

„მეეჯმეს“

ვინ არის, სადამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

რ. ერისთავს

რად არ დიქრება ფენდურსა,
გულს რად არ მიჰხვ ალი!?
დოგარ, ბერო ბიძაო,
ცრემლი მადიწ თვალთა!

ანდ. ღულაძეს

გაიზდება ორატორობა,
აღმასვანის წერილი;
სოფელ საშომ მეგრობას,
უფელ ხელ ფესის ტრაპედა.

სოფლის მასწავლებლებს

ცისა იგება მარით,
ლუბაბით დაბდიანი;
მამთა თქვენი შულ,
ა... ქვეყ... დაბიმელი.

ვ. გუნიას

ასსადი საქმე ამო,
ავარს ხუმრობა გზისა;
ზოგი რომ უთქვამს ტუილი,
თავის არ ლაპარეკე;
ტურს წრეგას ახალი კალენდარს
მოსდის მახსოვს სუნსა.

ანტ. ფურცელაძეს

მარხას, მიშვერონს უმზ-უკლოდ შემ მარხსა,
ეგენ მომნაკის თვალ-ზედაღითი დაგით სოსლანსა.

მოსწავლე ქალებს

ჰე, ქართველ დედავ, მეუღ ქართველისა,
უწინ ამოსვლის ...ზედა შეილს!

თელავ-სიღნაღს

რად განდით ჟურნალ-გაზეთი,
დღეწევირით ღვინოსა:
ვაი რო ჰრესნით აღარ ვაგლ,
ზოგზე უნდა ნინოსა.

ქუთ-ფშაველას

მთაში აქ გადგომილება,
ჰკვევ არ გეწეთ ბარისა;
ყოველთვის სამასურზეა
ზეგან გეწყენს გარისა.
დღეთად ვასამთობდა
სხვაი მზისა და მთვარისა,
ჰა, ფეთი და ზედა—
ყველა შენს ჰყავს არისა...

დრამატიულ საზოგადოებას

რა მასწავლეთ, მაშინ უნდა
გონებანი გვქონდეს.

ჩვენს არტისტებს

განაგრძოთ წვრთვილი ურჩს,
უგუნურს გულის ჰქმირდეს.

მოღუბარეების

რა გინდა მომცეთ, რას გვჭირს,
მე გარ და შენი მთასა.

პეტრე უმიკაშვილს

ფრთხილად მეკალი საოცდელს
გვასწა წავსეწყვეთ.

ნაკვეთი.

ერთი ჩვენი გამოჩენილი მწერალი, რომელსაც სახელი აქვს განთქმული, რომ თრიეკ-ლანდეეში „შლეარები“-ლიაო, ქართლში სადილი გაუმართეს. დ., როგორც ქართლში ჩვეულებდე არის მიღებული, ქამასა და სმას შოჰყვა „რიგიბ“. ერთი მეორეს ეცილება. ყველას იმედი აქვს, რომ გამოჩენილი მწერალიც სუფრას საგმირო მოვნებებს და იტყვის რასმე. გამოჩენილი მწერალი-კი თავ-ჩაღუნული მიირთმევს სასმელ-საჭმელს, რაც ძალი და ღონე აქვს, და „რეჩი“ ფიქრადაც არ მოსდის.

— ბატონო, ერთი თქვენი სიტყვაც გაგვაგონეთ და გაგვახარეთო, —უთხრა ბოლოს მასპინძელმა მწერალს.

გამოჩენილმა მწერალმაც ერთს წამს ჭამას თავი დაანება, გაალო პირი და წამოიძახა:

— ბატონებო! მე მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ჭამის დროს ძალლიც კი გაჩუმდებაო, —სთქვა და ისევ ჭამას მიჰყო ხელი.

— მამ იმიტომ თუ ჰბანძღვბოდით ჩუმადაო, —წაიბურტყუნა ერთმა სტუმარმა.

იგივე მწერალი კვებნით ეუბნებოდა ერთს თავის მეგობარს:

— რასაც ვწერ, სულ გულიდამა მაქვს ამოღებულიო...

— ძალიან მწვერტლიანი გული გქონიაო, —უპასუხა მეგობარმა: „შენს ნაწერებში ლანძღვა-გინების მეტი არაფერიაო!..

ამაეთ იმავეთაგამ

ქალაქი მატრაზაში (მოწერილი ამბავი). რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითს სიტყვას, ეს მთელს კაცობრიობისაგან აღიარებული აქსიომაა. ამაზედ ლაპარაკი არ გვეგამ და სიტყვას მოკლედ მოვჭრი. „გძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო“, — განა არა სთქვა ჩვენმა გენიოსმა რუსთაველმა. ამასთან ისიც კარგად ვიცი, რომ გაზეთმა მხოლოდ მართალი უნდა სწეროს, გაზეთი ჭეშმარიტებას უნდა ემსახუროს, რადგან ჭეშმარიტებაა ის ლამპარი, რომელიც გზას უნათებს გონება-დაბნელებულსა და ცრუმორწმუნეებს, უმეცრების ჯურღმულით გარემოცულს ხალხს. მხოლოდ ამ ჭეშმარიტების მასხურება მიძულებს, კალამს ხელი მოვკიდო. ნუ დაუჯერებთ ნურაფერს იმათ, ვისაც მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები გაუთმერთებია, რედაქცია განგებ შეცდომაში შეჰყავთ და თავიანთ შავად უზნეობებს, შავს კიდევ თითრად. მაგალითად, ამ დღეებში პატივ-ცემულ გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთს ნომერში წავიკითხე, ვითომ ჩვენს ქალაქში ყველაფერი კარგად იყოს, არ ვიცი, თქვენი ცრუ კორესპონდენტი კარგს რას ცხებოს და აი რამდენი ხანია, რაც ჩვენში რაღაც ახალი საზიზღარი ავადმყოფობა მძვინვარებს და ხალხს მუსრს ავლებს, მეტადრე ყმაწვილებს ჰკლეტავს საშინლად. ზოგიერთი სახლიდამ ოთხ-ხუთი მიცვალებული გააქვთ ერთს დღეს. მღვდლებს ბედი ეწიათ რაღა! ჩვენი ექიმები-კი ყურსაც არ იბერტყენ, ლოგინით სძინავთ და შინიდამ გარეთ არ გამოდიან, სალამოთი-კი ჩადგებიან ქალაქში და გათენებამდე აღარ ხედებიან. ვინ არის პატრონი და ამათი ხმის გამცემი!..

სოფლებიდამ ჩამოსულნი უჩივიან ზამთარს და ამბობენ, რომ ასეთი ზამთარი ჯერ არავის ახსოვსო. ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, რომ სახლები სულ ჩაზვანა, ტყიდამ-კი ხალხი ვერ მოიტანს ზანდაბიან ამოჰქვეთ. დამშეულნი მგლები ბანებიდან სახლებში სცვივიანო. ხალხი ასეთს გაჭირებაშია, მობრძანდება-ეს, ეს სოფლის მეკეთი-მემამულე, სულ მეცეს ხაბტოიან და იმაზე ჰფიქრობენ, აბა ეს რა წავაგლიჯოთ, რომ გავძღეთო.

ჩვენს ქალაქში წყალი ისე გაყინა, რომ ზედ ურმები და ეტლები დადიანო. უწყლობით ვიხოცებით. მგლები ჩამოდიან და ამ დამშეული ჩარიკების ზონით შუა ქალაქში, ეს იმას, ვისაც გარეთ მოსწრებენ...

მივიქცევთ ყურადღებას ვისიც ჯერ არს!..

მატრაზელი

გასართობი.

ტბეულების გუდიდამ (ნამბობი პეტრე უმიკაშვილისა). ლამე ქარში მეგობრის ვიყავი. შაზედეო, ერთ ალაგს კაცლის ნაჭუჭი ხვიან. დავიწყე ქიქა და ძებნა, იქნება კაკლის ნაჭუჭებისათვის ძირფესი რომ ნაშეი გამომიყოლეოთ. ბინოთოთ. ესეა, ესეა და ერთს დიდს ნაჭუჭ-ცი დაინდობა ფეხი. ეჩხარით, შიგ ეზლები, —წაქალ, წაქალ, წაქალ და სულ შიგ-კი ჩავიხედე. მოდის დღე, მიდის მეორე, მესამე და მე-კი სულ ეხვ ვხიდავ შიგი-შიგურ გალი.

ბოლოს აკი მოვიდა ერთი ბიჭი, დაიწყო კაკალი, დაარტყა ქვა, გატეხა და, რა დამინახა შიგა, ერთი ჰკითხა და შეშინებულმა მოჰკურცხლა. მეც შემეშინდა, რომ ამ ყვირილზე ხალხი არ დამეხვეოდეს-მეთქი, და მოვუსვი, მოვუსვი და რა მოვუსვი, გავეცლებული ცხენი ვერ დამეწიოდა. ეირბინე ესე თავ-ქუდმოგლეჯილი და ენახოთ, ერთ ტყეში-კი შევედი.

მშიან და რა მშიან, — ფერდი ფერდს მიჰკვრია; მეგელ რომ შემხვდეს, მგელს შევჭამ. დამშეული და დაქანცული ერთს ხეს მივეყუდე. უცბად რაღაც ბზუილი მომესმა. მივიდე ხეს ყური და დავრწმუნდი, რომ ფუტკრის ბზუილი იყო. შემოუარე ხეს გარშემო და დავუწახე პატარა პირი. შევიხედე და პირს წყალი მოვიდოდა, —მთელი-მთელი თაფლით სავსე ჰქონდა იყო. ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიწვალე, მაგრამ პირი იმდენი პატარა იყო, რომ თითიდაც ვერ შევყოფდი.

რაღა ბევრს ვიჭ რომ მეთქი, — ბოლოს, —ავიქ და თავ-ფეხით ჩავეყარე სულ შიგ ...

ძელს და მივუჯდე... ...

მინმდა და „ქორსა შინა“ მაგარს ქართველს არასოდეს არ გაჰქრობია გულში იმედი და სასოება. უიმედობა თუ შავბედობა ქართველს გულს რაღაც უბერია, არა, —უფრო ამხნევებდა, ძალასა და გამბედაობას ჰმატებდა. ამას მთელი ჩვენი ცხოვრება გვიმტკიცებს და ასეც რომ არ იყოს, ქართველობის ხსენებაც ხომ არსად იქნებოდა. აბა კარგად დააკვირდით ჩვენს ახალ წელიწადს, თუ

საახალწლოდ

და იმედი ეგმე, მინამ გული ეკერო. გული რომ ეჯერი, ესთქი, ახლა-კი შინ წასვლის დროა არის-მეთქი. მაგრამ აი ხათაბალა, — როგორ გავიდე აქედან. მოვბალნდა, რომ შინ ცული გავქს. გავიქეც, მოვიტანე ცული, მოვუჯდე ხეს, გამოვიყვანე და შინ მშვიდობით დავბრუნდი.

მამ, აი ასეთი ამბებიც მოხდება ხოლმე!.

იმავე გუდიდამ (ანდრია ღულაძის ნაამბობი). ერთხელ დაიდემზე წავიდე სანადიროდ. გავედი ერთს დიდს ტყეში. შევიარე, ერთი უზარმაზარი დათვი მოგვეყუენნა. დამინახა თუ არა, თვალები ავიდა და ბუტბუტით ჩემკენ გამოსწია. თოფის ყელზე შევიდეგ, შეშისაგან ციებ-ცხელება დამემართა, თოფიც ხელიდამ დამვარდა. დათვი-კი სულ მოდის, მოდის ზედ, შედგა ყალბზე და ის იყო, როგორც უნდა ტოტი შემოკრა, მე დავიწვე და, რაც ძალი მქონდა, მუშტი გავარტყი შუბლში. მეტი აღარა მახსოვს რა, გონება მიხდილი დავეცი.

ერთი საათზე მეტი გასულიყო, აიდრე გონს მოვიდოდი. წამოვხდე და მესმის რილსიც კვნესა. მივიხედე, აქვე ჩემს გვერდით დათვი გდია გულ-საკლავად ჰკვნესის.

თურმე, ნუ იტყვით, ისე ღონივრად გამირტყამს დათვისათვის, რომ ორთი საათამდეც-კი ტკივილი ვერ დააჩნებოდა. მეც კი, ღმერთო წინამე, ერთი თვე ხელ-შეხვეული დავდიოდი.

იგივე | დაინახოთ, რასაც ჩვენ ვამბობთ: ქართული ახალწელიწადი მარტო სადიმო და დროს გასართობი დღე კი არ არის, იგი უფრო იმედისა და სასოებ მომნიჭებელი დღეა, სულის აღმაფრთოვანებელი დღესასწაულია, გული აღმძვრელი და ამტოკებელი სანადიმოა. მთელს ქართველობას სწორედ ასე სწამს ეს დღესასწაული, მიტომაც არც ერთს სახალხო ბრწყინვალე დღესასწაულს ისეთი გულფელი და წმინდა სიხარული არ ჰყობა ხოლმე, როგორც ახალწელიწადს. მიზეზი ცხადია: იმედმა და სასოებამ დაიცვა ქართველობა და საკვირველი არაა, რო ხალხს გატაცებით უყვარდეს ის დიდებული დღე, რომელიც საერთო იმედისა და ნუგეშის დღეა და, მაშასადამე, «წმინდათა წმინდაა» ხალხის გულის ძგერის.. ჩვენ გვიკვირს და უცხოელნიც ნაკლებ ჰკვირობენ, რომ ერთმა მუჭა ქართველობამ ასეთის მხნეობით დაიცვა თავისი ტურფა სამშობლო; განცვიფრებულნი და გაოცებულნი ემდურით — «შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა», მაგრამ რა იყო ამისი მიზეზი? — ის უხილავი მადლი, რომელიც ხალხს მუდამ აცხოველებს, ამხნევებს, წარსულსა და აწმყოს უნახავს, ბედნიერს მომავლისკენ მიასწრაფებს.. ამ მადლს, რომლითაც ასე უხვად ცხებულია ჩვენი ერი, საერთოდ იმედი და სასოება ეწოდება. ახალწელიწადიც ამ მადლის მომნიჭებელი დღესასწაულია, სხვა არაფერი. ამიტომაც ქართველობა ასეთის დიდის ამბითა და ყოფით ეგებება სანუგეშო და საიმედო ბრწყინვალე დღეს. საბუთიცა აქვს: თუ ქართველი აქამდე დარჩა

იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა,

მისი მიზეზი ის იმედი და სასოება იყო, რომელიც ქართველობას განუქრობლად გულში უღვივოდა... მაგრამ ეს ყველა, რაც ჩვენ ვსთქვით, ახალწლის შინაგანი ბუნება და თვისებაა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ადვილად ვერ დაინახავს და ვერ შეიგნებს. ამ შინაგანის ბუნებისა და თვისების გარდა, ახალ წელიწადს გარეგანი ხასიათიც მოეპოვება, — ბრწყინვალე და მადლის მომნიჭებელ დღე სანადიმო დღესასწაულიც არის. ახალწელიწადს მეტად ცხადად და აშკარად გამოითქმის და გამოიხატება ხოლმე ხალხის გულის-თქმა და მისი ზნე-ჩვეულება, მისი საეროვნო ვითარება და ვინაობა. ამ მხრითაც ჩვენი ახალწელიწადი მეტად საგულისხმიერო დღესასწაულია. ძველადაც ყოფილა და ჩვენც ძველის ამბავით უნდა დავიწყოთ საუბარი.

**

ძველს დროში ახალწელიწადს ვაჟკაცობის ფერი ედო და მაღალი წოდებაც ამ დღესასწაულს ისე მიეგებებოდა ხოლმე, თითქო საომარი დღეაო, საომარი ვარჯიშობააო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მაშინ მთელი ქართველობა უფრო საომარ ვარჯიშობას მისდევდა და მთელი ხალხიც ერთს დიდს შეიარაღებულს რაზმს წარმოადგენდა. მეფე თავის ამალითა, ხელის-უფალნი და ურიცხვნი დიდებულნი თავს დასტრიალებდნენ შეიარაღებულს რაზმს და სწორედ მათი საახალწლო ნადიმობა წარმოადგენდა საომარს დღეობას... მაგრამ რიგზე უნდა დავიწყოთ. დიაღ, მეფეს გარს ერტყა მთელი დასი ხელის-უფალთა. თითოეულს ხელის-უფალს საკუთარი თანამდებობა და მოვალეობა ჰქონდა, საკუთარი საქმე ებარა. ერთი იყო, მაგალითებრ, ამილახორი, რომელსაც, სხვათა შორის, სახელმწიფო ცხენთა ჯოგი ებარა, მეორე — ბაზიერთ-უხუცესი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სანადიროგილები, ბაზნი ანუ მეძაღლენი, ქორ-შავარდენნი, ერთის სით, ნადირობის საქმე, მესამე იყასაული — სამხედრო საქმეების უსი გამგებელი და სხ. დაუმატეთ: დარბაზის ერნი (კარის-კაცნი), ყიავნი, რომელნიც მთელს საერისთას განაგებდნენ, ოფიკალნი (აფიცი) არ დაივიწყოთ, რომ ყველა ეს ბრწყინვალე და საუკეთესო საზოგადოება მეფესთან უნდა მისულიყო ახალწლის მისალოცავად და თქვენ თვალ წინ ცხადად წარმოგიდგებათ ის დიდებული სურათი, რომელიც ახალწელს მეფის სასახლეში ხდებოდა... ჩვეულების ძალით, თითოეულს ხელის-უფალსა და დიდებულს თავისის ხელობის შესაფერი ჩუქარი უნდა მიელოცნა მეფისათვის, მაგალითებრ, ამილახორს — ძვირფასი ცხენი ოქროს იარაღითა («ცხენ ალკაზმული ოქრო მოოჭვილითა», ბაზიერთ უხუცესს — ქორ-შავარდენი, გარეულის ტახის მოოქროვილთავი... „და სხვანი ოფიკალნი თვ-თვისთა შესატყვისთა“... რასაკვირველია, ერისთავთაც მისალოცი უნდა მიერთმიათ მეფისათვის: მისალოცად მათთვის უბრალო რამე იყო დადებული.. გამხდარი, ჯაგლაგი ცხენი, — «ხოლო რისავინი (ცხენითა არა-კეთილთა)», მაგრამ, როგორც ქვემოდ შევიტყობთ, ეს ჯაგლაგი ცხენი მეტად სასიამოვნო და სიხარულო პეშვში გახლდათ. ყველა ამის გარდა, ხელის-უფალნი და ერისთავნი მულოცავდნენ ხოლმე ისარსაც. ისრის მილოცვას სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა, — მეფის ორგული და მოღალატე ამ ისარმა გალახვროსო. საჭირო იყო მომლოცველს ხელში ისარი სჭეროდა; მოწიწებით წარსდგებოდა მეფის წინ, კრძალვითა და ...დით თავს დაუკრავდა, შეაჩვენებდა მის ორგულსა და ასე იტყოდა: „მრავალ ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“... მიულოცავდა ჯარიც, რასაკვირველია, ის ჯარი, რომელიც სამეუფო ქალაქში იდგა.

მაგრამ თქვენც მოგეხსენებათ, რომ მილოცვის წინ მეკვლეობაა საჭირო. მეფესაც საკუთარი მეკვლე ახლდა და ეს მეკვლე იყო ჭყონდიდელი*), მთავარ-ეპისკოპოზი, მწიგნობართ-უხუცესი, რომელიც ომიანობის დროს ჯარს წინ მიუძღოდა ჯვრითა და რომელსაც ქვრივ-ობოლთა საქმეც ჩაბარებული ჰქონდა. დილით ადრე, რიჟრაჟზედ, ცისკრის ლოცვის წინად, ჭყონდიდელი მიბძანდებოდა დარბაზში და მეფეს უკვლევდა ჯვარსა და ხატსა. ეგრეთვე მიულოცავდა მეფე-დედოფალსა სხვა-და-სხვა ძვირფასს სამკაულსა და შაქრის სანუკარს. მიკვლევა და მილოცვაც გათავდა... მაშინ-კი დარბაზში დაიწყებოდა ნადიმობა, „პურობა დიდი განცხრომითა და სახიობითა“... მაგრამ ეს „პურობა დიდი“ ხომ ქართველთა წესია და ყველასათვის ცნობილი ამბავია. ტყუილად-კი არ არის ქართველთაგან ნათქამი

ვაჟკაც გულადზედ პურადი
სამის გაფრენით მეტია.

ამ ... საჭიროა ვიცოდეთ, რას უშვრებოდნენ იმ „ცხენთა ... თილთა“, რომლებსაც ერისთავნი მიართმევდნენ ხოლმე მეფეს.

**

საახალწლო დღეობის სულსა და გულს ნადირობა შეადგენდა. მოგეხსენებათ, რომ ძველ დროს ქართველსა ნადირობა მარტო სახეირო და სასარგებლო საქმედ არ მიაჩნდა, ნადირობა უფრო სავაჟკაცო დროს გატარება და ვარჯიშობა იყო. ამიტომაც ნადირობა სწორედ იმნაირად იყო მოწყობილი, ისეთის წესითა და რიგით სწარმოებდა, რომ ხელს უწყობდა ვაჟკაცობის განვითარებას. უმეტადრე ეს ითქმის «ისრითა» და «...ფით» ნადირობაზედ. წაიკითხეთ მაგალითებრ, მეფე თეიმურაზის „დღისა და ღამის გაბაასება“, სადაცა ვრცლად ნაამბობია სხვა-და-სხვაგვარი ნადირობა, და დაინახავთ, რომ განთქმული მონადირე საჭიროდ ვაჟკაციც იყო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანც რაც ღირსება თვისება მოეთხოვებოდა მონადირეს, იგივე საჭირო იყო კარგის ვაჟკაცისათვის; მაგალითებრ, ცხენზე მარჯვედ ჯდომა დიდად საჭიროა მონადირესათვის და საზოგადოდ ყველა ვაჟკაცისათვისაც ცხენოსნობა დიდად ჰღირდა, —

ცხენზედ ზნეობა კაცსთვის,
მისთვის ჰსჯობს სხვასა შვებასა...

ცხენოსნობის გარდა მართალი და მარჯვე ისრის სროლაც სავაჟკაცო საქმეს შეადგენდა. სახელოვანი მშვილდოსანი განთქმული იყო თავისის სიმარდით სათაკილოდ და სამარცხვინოდ მიაჩნდათ, თუ ვაჟკაცი ცხენსა და მშვილდს წესიერად ვერა ჰხმარობდა. ამიტომაც ნათქვამია, —

ის ესვრის, ვინცა რომელი
... გააჭენებსო.
თუ აქს დროს ცხენი დაუმძა
ნადირსა დაამაკებსო;
კიდეც გალახვენ ამ გვარს ... ვას
ზედ დაჰკვრენ ბეჭრსა ჯოხებსა...

ერთის სიტყვით, კარგი ნადირობა კარგს ვაჟკაცობას უდრიდა. მეფეებიც, რომელნიც თითონ განთქმული მონადირენი იყვნენ, ხელს უწყობდნენ ამ სავაჟკაცო საქმეს. ბაზიერთ-

*) მეგრულად მ უ ხ ა დ ი დ ი. ძველად ეს სახელი ერქვა აწინდელს მარტვილს. ჭყონდიდელის კათედრაც მარტვილში იყო.

---

ნამდვილი ამბავი (დედამთილის ნაამბობი): ორს დედაკაცს აბანოში ჩხუბი მოუვიდათ.

ვინ მოთრეულხარ, ნეტავი, აქ? — ეუბნება ერთი მეორეს: — იცი მე ვინა ვარ? . მე „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ცოლი გახლავარ... მე, მე.. როგორ მიბედავ სიტყვის შემობრუნებას შე... შე...

— ქა! ვუი შენ თიებსა! ვინ მოთრეულხარო! მე „ტი... ტი... ტურტლიანი ოსეფას ცოლი არ გახლავარ... მე ჯვარის-მამის დეკანოზის ნათლიდედის მძახალი ვარ!!. მააშ!! — მიარტყა თავ-მომწონედ მეორემ.

## დეპეშები

**პეტერბურგი.** ისეთი ყინვებია, რომ ყვავები უცბად ჰაერში იყინებიან და ქუჩაში გამვლელ გამომვლელს პირში უცვივიან.

**არხანგელსკი.** აქ შესდგა ამხანაგობა, რომელსაც განზრახვა აქვს არხანგელსკის ახლო-მახლო ჩაის ხე ახეიროს. საქმეს ეხლავე უნდათ შეუდგნენ ყინვები 40°-მდე ადის.

**ხარტუმი.** ინგლისის გენერალი გორდონი არ მოუკლავთ, ცოცხალია და სტენლის ინგლისში მიჰყავს.

**ბერლინი.** ბისმარკს სურდომ გაუარა და ამიტომ კარგს გუნებაზეა. იმედია, რომ ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვევა.

**პარიჟი.** ბულანჟე კიდევ დამალულა და არა ჩნდება. ზოგი ამბობს, ვითომ ცოლთან სასტიკი ომი ჰქონია, და ისე აქვს სახე დაკაწრული, რომ შინიდამ გარეთ ვერ გამოდისო. ზოგი კიდევ იმას ამბობს, ვითომ ბისმარკს მიეწვიოს თავისთან და აღარ უშვებდეს.

**მადრიდი.** ისპანიის ტახტის მემკვიდრეს კბილები ამოსდის. ამის გამო შეუძლოდ არის და ანჩხლობს.

**კაირი.** ეგვიპტის ქედივს საყვარელი ლომი მოუკვდა და ამის გამო ორი მინისტრი დაითხოვეს.


## განცხადებანი

დაიკარგა
**სინიდისი.**

ვინც იპოვოს, ტფილისის ვაჭრებს მიუტანოს და საჩუქრად დამპალს საქონელს მიიღებს. (3—1)

---

ღვინო! „მუხრანი“ ღვინო!

ქვევრის შაურიანი ბოთლი იყიდება სამ აბაზად

ახლად გაღებულს რესტორანში

„პურ-ღვინო“,

სადაც ყოველ დღე მზადდება იმერული, გურული, ქართული და რუსული საჭმელები. იქვე შეგიძლიანთ მოისმინოთ ქართულის ლიტერატურის ლექციები. (100—5)

---

**ექიმი-ქალი**

გრიგოლ იოსების მე ვოლსკი სცხოვრობს საპერების ქუჩაზე, სახლი № 50. იხილეთ გუნიას „საქართველოს კალენდარი“, რომელიც ისყიდება «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში.


---

**სინათლე გაქრათ**

ფურკატისს-თეატრშიდა გასათხოვარ ქალებს თვალის ჩინ ქმრების ლოდინით. ვისაც შეელ შეგიძლიანთ მიშველეთ, მადლს ზამთ. ადრესი „პატარა გაზეთში“.

---

ექიმს ალის
**მზარეული**

გამოცდილი, სწავლი,
იცის ორის საჭმლის კეთება, დღეში
მხოლოდ ერთს მასთს იპარავს.
მოიკითხეთ: გოლოვინის პროსპექტი,
კანტორა კეფოვისა.

## ფელეტონი.

საახალწლო მლოცვა.

ხნიერი კაცი არა ვარ, მაგრამ ყველაფერში ძველის დროის მიმდევარიკი ვარ. აი დღესაც ძველებურად ყინვარ-შაქარით უნდა მილოცა მკითხველისათვის და მეთქვა: — „ესე ტკბილად დაგაბეროთო!“, მაგრამ რას იზამ, დრონი იცვალნენ. ახლა ყველგან კალამია და მელანი, მხოლოდ ეს პაწია წრიპინა და ეს შავი მელანია დღეს პატივსა და დიდებაში. ამათ გაულებულს კვალს ყველ გაფაციცებით თვალს ადევნებს. ჩვენც, მეტი რა ღონე გვაქვს, უნდა ჟღერს ხმას ავყვეთ და, როგორც დღეს არის მიღებული, მუზას მოვეწოლოთ და ლექსად მილოცვა ვუძღვნათ, ვინც ამის ღირსი აღმოჩნდება. აბა, მუზავ, გასწი და გზა გვაჩვენე. წინადვე ბოდიშს ვიხდით, რომ მუზა ცოტა გუნებაზე ვერ არის დღეს, და, თუ რაიმე უსწორ-მასწორობა შეჰნიშნოთ ლექსთწყობილებაში, ნურას უკაცრავათ.

ქართველს ქალებს.

ტყუიან, ვითომ ადამიანსა
ჭკუა ჰქონდესო მხოლოდ თავშია, —
თუ ეგრე იყოს, მაშ, — გეკითხებით, —
ქალებს რაღათ აქვსთ ჭკუა თვალშია?

ილიას

ნუ უღალატებ მერანსა,
„ჩოტკი“ ძირს დადე, ილია;
ყველა ეს წავა, გაქრება,
დარჩება „განდეგილია“...

აკაკის

დაჰბერებულხარ, ბულბულო,
აღარ გიქებენ სტვენასა;
ჩვენ მაინც მოგვწონს, ყურს ვუგდებთ
შენს ტკბილს თან მწარეს ენასა.

ანტონ ფურცელაძეს

წუხელის სიზმარი ვნახე,
ნეტავ დედავ რაო?!
ვითომა დავით სოსლანი
ანტონს აქებდაო!

ა. დუღაძეს

მიდის-მოდის გაბრიელი,
არვინა ჰყავს მადრიელი.

დავით სოსლანს

რას მედავები, რა გინდა,
რა მმართებს შენი ვალია?
რად ცრუდ საწუთროდ მახსენებ,
რად დაგბრმობია თვალია?
(ანტონ ფურცელაძე)

ვ. გუნიას

(„საქართველოს კალენდარის“ შემდგენელს).

გამოცანას მოგახსენებთ;
დიდი-კი არაფერია:
ვაგლახით სახლი ავაგე,
ვაით დავხურე ჭერია,
წითელ-ყვითელი ფერი ვცხე,
ზოგან-კი ალისფერია.
ცალ-თვალა სანათურითა
ვერ გავანათლე ბნელია;
შიგ ყველაფერი შევზიდე,
ნაგავი უფრო ბევრია...
ვინც გამოიცნოს, ვაქებდეთ,
საქმე ჰქმნას საქებარია,
გამოცანაში მიიღოს,
გუნიას კალენდარია...

ვ. მირიანაშვილსა და დ. კარიჭაშვილს

ორნი არიან, ტოლნი არიან,
სადა მიდიან, მიიმღერიან:
იონ, ციონ და ლექციონ,
რედაქცია-რედაქციონ,
და ვინც ჩვენ არ დაგვიჯეროს,
მას ოჯახი დაუქციონ.

ა. ნებიერიძეს

(გაზ. „თეტრის“ რედაქტორს)

ვის ჰქონდა შენი მტერობა,
გირჩია რედაქტორობა?..
ბერო, გაუშვი ბერობა.
სხვა დაიჭირე ხელობა.

ვ. ალნიაშვილს

პირველად ვშვი „ყარამანი“,
წლის თავს მოჰყვა „ტარიელი“
ორივე ღმერთმა წამართვა,
ვარ ცარიელ-ტარიელი.

---

რედაქტორი-გამომცემელი შერმადინი.

უხუცესობაც ხომ მას ეხმარებოდა და სხვას არაფერს. მეფეებსა და დიდებულებს დიდი სანადირო ადგილები [ჰ]ქონდათ დაყოლებული ნადირობისათვის და

ოდეს მოუნდეს მეფეთა
გულზედა ნადირობანი,
კაცი გაგზავნონ ჯელგისთვის,
დაუწყონ მოგროობანი,
სოფლეურ შეჭურის სწრაფთა
გზირისა მაღლა ხმობანი,
შესხდნენ, წავიდნენ მინდორად...

...ა ნადირობა გათავდებოდა, მაშ...

...მწიფის წინ მოიტანონ
...ი, ტახი, გინა მშველი,
... დაიწყონ მათ ნადირი,
...ფხლავ მიჰყონ ლხინსა ხელი.
...მიაგზავნის ნანადირევს,
...ვინ არის ნადირთ მკვლელი...

სულ სა ხასიათი ჰქონდა საახალწლო ნადირობას. ეს ნადირობა სავაჟკაცო შექცევასა და გართობას წარმოადგენდა და სხვას არაფერს. ხელმწიფის წინ არ იტანდნენ არც დათოფილს ხარსა და ტახსა და არც მოკლულს მშველს. სანადირო ველი მარტო დახოცილის მგლითა, ტურითა და მელით გაივსებოდა ხოლმე.

ბაზიერთ-უხუცესიერისთავთა მოროთულ „არა-კეთილს“ ცხენებს გაიყვან-... მეფის სანადირო მინდორზედ. ეს ...დირო მინდორი შემოღობილი იყო ...ლო იდვა მეფის სამყოფზედ. სალო-... ცხენებს [illegible] და იმათ ... სანადიროზედ დაჰყრიდნენ. ...ლობის კარს ღიას დასტოვებ-... და მთელი სანადირო ნადირით გაივსებოდა ხოლმე. დილით ადრე სანადიროს მცველი კარს ჩამოუხურავდა ნადირს და შეღობილში დაამწყვდევდა. დღისით მეფე და იმისი ამალა, „წარჩინებულნი“ შებძანდებოდნენ ცხენებზედ და წავიდოდნენ სანადიროდ. დამწყვდეულს ნადირს გამოუშვებდნენ, შეიქნებოდა ისრით სროლა და ნადირის ხოცვა... „ესრედ იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიროდ“.

**

ნადიმობაც სასიამოვნო და მიმზიდველი იცოდნენ. ძველებური ნადიმობა გულსა და სულს უტკბობდა ქართველს. მეფეებიც იმასა სცდილობდნენ, რომ ქართველს აქაც ნიჭი და შნო გამოეჩინა, კეთილშობილური გრძნობა გაჰღვიძებოდა. ამიტომაც ასაჩუქრებდნენ ყველას, ვინც-კი რითიმე დაიმსახურებდა ყურადღებას—

დღისით იქნების განცხრომა,
ლხინი და ნადიმობანი,
გაღმა-გამოღმა თქარ თქარი,
ლაზღობა, კაი ზმობანი,
გალობის-სიმღერის თქმაზედ
მეფეთგან გამცემობანი,
გულ-უხვად დარბაისელზედ
იყოს მრავალი მღნობანი.

რასაკვირველია, სიმღერა და გალობა არა ჰკმარობდა. კარგს სმაჭამასაც ფასი ედო, კარგს მსმელს საჩუქარს უბოძებდნენ—

ამოუშვებენ შადრევანს
ბევრ რიგ ასხმიდენ აუზით..
ვინც სვამს დიდს თასებს,
მტყვიან: მალ დალევს ხელი აუზით,
ნეტავი მას დღეს, ვინცა ვინ
სელმწიფეს ახლოს უზით,
თქვენ აივსებით სასმურით,
ფრულით, აბაზით, აუზით...

საარშიყო და სამიჯნურო ლექსებიც უყვარდათ—

ზედ სთქვან ლექსები მიჯნურთა,
მით ცრემლით დაწვი აბანოს...

ცეკვასა და თამაშობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. ჭიდაობა, საბელზედ თამაშობა და სხვა გვარი შექცევაც ძრიელ მიაჩნდათ,—

რამდენი რიგი შიდება
იქნება ფალავნებითა,
მალით ვერ დასცენ ერთ-ერთი,
მცდელია ბევრ ფანდებითა,
სხვის მოთამაშის მრავალთა
მომსხმელნი ჯამბაზებითა,
საბელზედ გავლენ კისკასად,
სიფიცხით, ფერხვ მალებითა...

ამ საბელზედ მავალს მუშაითი ერქვა, დიდს პატივში იყო და საჩუქრად ხალათი ებოძებოდა ხოლმე—

მუშაითს მისცენ ხალათი,
ზედ წამოასხმენ აბანოს...

მაგრამ კმარა ამ სამეფო ნადიმობის ამბავი.

**

გლეხის ძველებურს დარბაზში შევიდეთ. აქაც სანუგეშო და სასიხარულო სურათსა ვნახავთ. მე მოგახსენებთ ქართლელის დარბაზზედ და სხვისა სხვებმა იციან. დიაღ, სასიამოვნო და სანუგეშო სურათს წარმოადგენს ამ ბრწყინვალე დღეს ქართლელის დარბაზი: ჩუქურთმა დაყრილი დედა ბოძები, სუფთა და... და ორი [illegible] დასმული ქვა გაჩაღებულის შუა ცეცხლით, ფარდაგ-ხალიჩითა და სპეტაკის ჭილობით დაფენილი მიწის იატაკი, დასუფთავებული ქვითკირის კედლები თავისის თახჩებით, სადაც ფერად-ფერადად აჭრელებული სკივრები სდგას, ბოძებზე ჩამოკიდებული თოფ-იარაღი, ერთის სიხარულითა და გრძნობით გამსჭვალული ჯალაბობა, რომელიც იმედის თვალით უმზერს მომავალს, აწმყო დავიდარაბა გულიდამ ამოუღია, მოსჯდომია თბილს კერასა და ნადიმობს. ეს და ბევრი სხვა ამ გვარი სურათი ნათელს ჰფენს გლეხის დარბაზს!.. არც ერთი სადგური და სამყოფი არ შეედრება ამ შრომისა და ჯაფის წმინდა ტაძარს! კერას წინ ხონჩით აბრამიანი სდგას. ხონჩაზედ აწყვია ღორის თავი, მრგვლად მოხარშული დედალი, ხელადა ღვინო... ოჯახის უფროსი ყველას ჰპატიჟობს, თითოეულს ოჯახიშვილს უზიარებს აბრამიანს. მაგრამ იქნება არც-კი იცით რა არის ეს აბრამიანი?!

აბრამიანი გახლავთ სხვა-და-სხვა სანოვაგით შემკული ტაბლა. გლეხს სწამს, რომ საახალწლო ნატვრა შეუსრულდება, ამიტომაც ყველას ულოცავს დღესასწაულს, კაციდამ დაწყებული საქონლამდე. მისალოცავად საჭიროა კიდევ ტკბილეულობა, ხილეულობა, ბედის კვერები... წინა დღეს ყველას თითო ბედის კვერი უნდა გამოუცხონ, საქონელსაც-კი. ბედის კვერი სხვა-და-სხვა სახისაა, მაგალითებრ, მუშა საქონლისათვის გამოაცხობენ უღლის მსგავსს კვერს, ძროხისათვის პურის ძუძუს, მენამგლისათვის ნამგალა-პურს, გუთნის-დედისათვის პურს გუთანს. უეჭველად უნდა გამოაცხონ ბასილა, კაცის სახის კვერი, და გულზედ ჯვარი გამოუსახონ. გასუქებული ტახი ხომ მიუცილებლად უნდა დაჰკლან. „დასაბერებლად“ ჯამში თაფლს ჩაასხმენ და თაფლში კიდევ ყველასათვის თითო ლუკმა პური ამოვლებული. ამ ლუკმით უნდა „დააბერონ“ ყველა ოჯახიშვილი. წარმოიდგინე, როცა ყველა ეს სანოვაგე და ბევრი სხვაც ხონჩაზედ აწყვია, ხონჩის შუა ღორის თავი სძევს და თითონ დატვირთულს ხონჩას გარშემო წმინდა სანთლები უნთია,—აი ეს არის აბრამიანი... დილით ადრე ოჯახის უფროსი გაიტანს ამ გაჩაღებულს აბრამიანს, სახლს სამჯერ გარშემო შემოუვლის, მერე ბოსელში შევა და საქონელს მიულოცავს. საქონლის მილოცვა დიდის ამბით იციან. სხვათა შორის, კვერცხს გადაავლებენ ზურგზედ და ეტყვიან—ასე მრგვლად გასუქდიო... ბოსლიდამ უფროსი ისევ დარბაზში დაბრუნდება, მივა კერასთან, აიღებს მუგუზალს, შეუჩიჩხალებს ცეცხლს და რამდენჯერაც ნაპერწკლები ავა მაღლა, იტყვის: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი“ და სხვა,—რასაც ინატრებს.. მერე ყველას „დააბერებს“ თაფლით.

აბრამიანი სამი დღე შენახული აქვთ და უეჭველად სადილად და ვახშმად ოჯახის უფროსს უნდა წინ ედგას. სამს დღეს შემდეგ ბასილას გულზედ ჯვარს ამოსჭრიან და ფქვილის გოდორში ჩააგდებენ—ბარაქა ამ გოდორსაო... მაგრამ საკმაოა, ბევრს [illegible] ახალწლო ზნე-ჩვეულება.

საყურადღებოა, რომ ამ დღეს ყველა ერიდება ცუდი და ავი რამე არ შეემთხვეს,—დამიბედდებაო... და ვისაც ცუდი რამე არ შეემთხვევა, დარწმუნებულია, რომ მთელს წელიწადს ბედნიერად გაატარებს. დიაღ, ყველა იმედითა და ნუგეშით შეჰყურებს ახალს წელს, ყველა სიკეთესა და ბედნიერებას ნატრობს დღევანდელს დღეს. გლეხს გულკეთილობა იქამდე მიდის, რომ ამ დღეს მტრობასაც-კი ივიწყებს და ერთის გრძნობით გამსჭვალულია—დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე, შინაური და უცხო ბედნიერი იყოს... დიადი და მაღალია ეს გრძნობა, ცხოველ-მყოფელი ძალაა იმედი და ნატვრა, რომელიც თითოეულს გულში უღვივის დღევანდელს დღეს. ჩვენც პატივს ვსცემთ ამ გრძნობას და ცხოვრების მომნიჭებელს ძალას. ღმერთმა ბედნიერად დაგვასწროთ მრავალს ამ დღეს, ბედნიერის მერმისის იმედი და ნუგეში ნუ მოგვაკლოთ!..

ნ. ურბნელი

## დეპეშა

30 დეკემბერი

ლონდონი. ზანზიბარის სამხრეთიდგან იუწყებიან დეპეშით: მეფე უგანდ-მვანგა უპირებდა ომშილით ამოწყვეტას არაბებს—თავის მცველებს; ეს არაბები თავს დასხმნენ მეფის სასახლეს და ტახტზე აიყვანეს მეფის ძმა კიოვა. როცა კიოვამ სხვა-და-სხვა თანამდებობა დაურიგა ქრისტიანებს, არაბებმა დახოცეს ესენი, თანამდებობა დაურიგეს მოსლემინებს და გადასწვეს ინგლისელებისა და ფრანგების კოლონიები. გათამამებულს არაბებს განზრახვა აქვსთ სრულიად აღმოფხვრან მისიონერობა შიდა აფრიკაში და ინგლისსაც სამაგიერო გადუხადონ იმისთვის, რომ ეს სახელმწიფო ხელს უშლის ტყვეების სყიდვა-გასყიდვას.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველ. | გამყიდვ. | გაყიდულ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ...თ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 58 |
| ...ამოყნის კუპონები | — „ | — „ | 150 3/4 |
| ...ანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 14 |
| ...% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 272 1/2 |
| —მეორისა | — „ | — „ | 245 3/4 |
| ...კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | 97 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 82 „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება [illegible]40 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო [illegible]44 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6. იანვარი 31 დღით არის.

1 დღე კვირა. წინადაცვეთა უფლისა. წმ. ვასილი დიდისა. ახალი წელიწადი. კათოლ. ახალი წელიწადი და წინადაცვეთა უფლისა. სომეხ. ახალი წელიწადი. მაჰმად. მე-12 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 12 დღისაა.

2 დღე ორშაბათი. სილიბისტრო რომის პაპისა. კათოლ. წმ. სტეფანესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-13 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—52. მთვარე 13 დღისაა.

3 დღე სამშაბათი. წინასწარმეტყველისა მალაქიასი. კათოლ. წმ. დანიელისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე 14 რიცხვი თვისა ჯემად-ულ ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—54. მთვარე 14 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 1/2 „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 „ |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 „ |
| მე-3 — | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 „ |
| ღორის ხორცი | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

**Вышла изъ печати и поступила въ продажу**

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн. Бебутова и К° перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

**„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845–1856 ГОДЪ“**

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с.; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к. с.; въ переплетѣ изъ англійскаго коленкора на 50 к. дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1889 ГОДЪ

НА

**РУССКІЙ САТИРИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ**

Журналъ художественный, литературный и юмористическій.

Программа журнала:

I. Сатирическая хроника человѣческой жизни и ея явленій, имѣющихъ мѣсто, какъ въ Россіи, такъ и заграницей.—II. Сатирическая литература: повѣсти, разсказы, сцены, пьесы, поэмы, стихотворенія и тому подобное.—III. Московскій листокъ: столичная жизнь и ея новости.—IV. Петербургскій листокъ.—V. Сатирическое обозрѣніе изящныхъ искусствъ: театръ, живопись, музыка и прочее.—VI. Сатирическая критика русской журналистики и литературы: краткіе переводы, рисунки и каррикатуры.—VII. Корреспонденціи и сообщенія. VIII. Смѣсь: шутки въ стихахъ и прозѣ, анекдоты, афоризмы, эпиграммы, пародіи, загадки, ребусы и т. д.—Сатирическіе и юмористическіе рисунки и каррикатуры русскихъ и иностранныхъ художниковъ.—X. Объявленія.

Выходитъ еженедѣльно, въ количествѣ 52 №№ въ годъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ—7 руб., съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи—8 руб., на полгода безъ доставки—4 руб., съ пересылкой и доставкой—5 руб.

Плата за помѣщеніе объявленій за 1 разъ 25 коп. за строчку петита въ одинъ столбецъ. За различныя украшенія и рисунки къ объявленіямъ плата полагается по соглашенію.

Отдѣльные №№ 15 копѣекъ.

Иногородніе подписчики адресуются исключительно въ контору редакціи: Тверской бульваръ, домъ священника Булгакова.

Редакторъ-издатель Н. Н. Соѣдовъ.

Доз. ценз. Тифлисъ 31-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე